

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,


გაცნობებთ, რომ 2018 წლის 8 იანვარს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი № 1– 6(ექვსი)ფურცელი

დასკვნა № 1– 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ხათუნა ვადაჭკორია



მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ.ლანჩხუთი

08.01.2018 წელი

13.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ელისო ჭიჭინაძე;

კომისიის წევრები: გოდერძი ქურიძე, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, გიორგი გვარჯალაძე, ამირან გიგინეიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ციციხოველიძე ჩხაიძე, ოთარ პატიეშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახა ასკურავა, კახა ბოლქვაძე, ზაზა წულაძე.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი**, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ელისო ჭიჭინაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

5. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ელისო ჭიჭინაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;
- დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;
- ვ) ცენტრ „იანანას“ თანადაფინანსების პროგრამა;
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- ლ) ლანჩუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.
- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.
- პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.
- ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ელისო ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ მიესალმება იმ ფაქტს, რომ კომისიისა და სამსახურის ერთობლივად მუშაობის შედეგად შევიდა დამატება პროგრამაში, რომ ფინანსურად დაეხმარებიან ძალადობის მსხვერპლ ქალბატონებს; ასევე შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ რეაბილიტაციის კურსი გაიარონ მათ მიერ არჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში; ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამაში ბენეფიციართა სარეიტინგო ქულა გაიზარდა 120 000-დან 150 000-მდე.

სასურველია პროგრამებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები: „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“ ითვალისწინებს საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა დოკუმენტაციის წარდგენას. კერძოდ, ქირავნობის პროგრამით მოსარგებლე და მისი ოჯახის ყველა წევრი ფლობს თუ არა სხვა საცხოვრებელ ფართს. სასურველია ეს დოკუმენტაცია მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ერთ პირზე და განაცხადში დაფიქსირდეს ოჯახის ყველა წევრის მონაცემი.

„სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა. სასურველია თანადაფინანსება გაიზარდოს 1 000 ლარამდე.

ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამაში - სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება 2 000 ლარით ფინანსდება, რაც მცირეა და სასურველია ეს თანხა გაიზარდოს.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა დაიწყოს ჰემოდიალეზის ცენტრის გახსნაზე ზრუნვა, რადგანაც საკმაოდ ბევრი ბენეფიციარია, რომელთაც ესაჭიროებათ ეს მომსახურება.

„მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამით“ სარგებლობს სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები, სასურველია ანალოგიური პროექტი განხორციელდეს საბავშვო ბაღებისთვის. ის ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან სოფლებში, საბავშვო ბაღიდან 4 კმ-ით და მეტი მანძილით არიან დაშორებული თანადაფინანსებით მოემსახუროთ ტრანსპორტი.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საგანმანათლებლო-საადამიროდებლო ცენტრს“ არ აქვს ვალდებულება აღსაზრდელების ტრანსპორტირებით მომსახურება დააფინანსოს. ამდენად მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს როგორც სოციალური პროექტი.

დეპუტატმა კახა ასკურავამ განაცხადა, რომ „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში“ გათვლილია 100 000 ლარი, ბენეფიციარი კი 98-ია. ისინი სრულფასოვნად ვერ იკვებებიან, რადგანაც მათ კვებაზე მინიმალური თანხა იხარჯება.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ გასულ წლებში უფასო სასადილოში ჰქონდათ შეხვედრა ბენეფიციარებთან, ახლაც კომისია აუცილებლად გადაამოწმებს მათ მენიუს და საკვების კალორიულობას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“ ითვალისწინებს საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა დოკუმენტაციის წარდგენას. კერძოდ, ქირავნობის პროგრამით მოსარგებლე და მისი ოჯახის ყველა წევრი ფლობს თუ არა სხვა საცხოვრებელ ფართს. სასურველია ეს დოკუმენტაცია მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ერთ პირზე და განაცხადში დაფიქსირდეს ყველა ოჯახის წევრის მონაცემი.

2. „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროებათ ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა. სასურველია თანადაფინანსება გაიზარდოს 1 000 ლარამდე.

3. „მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამით“ სარგებლობს სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები, სასურველია ანალოგიური პროექტი განხორციელდეს საბავშვო ბაღებისთვის. ის ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან სოფლებში, საბავშვო ბაღიდან 4 კმ-ით და მეტი მანძილით არიან დაშორებული თანადაფინანსებით მოემსახუროთ ტრანსპორტი.

4. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამაში - სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება 2 000 ლარით ფინანსდება, რაც მცირეა და სასურველია ეს თანხა გაიზარდოს.

5. სასურველია, მუნიციპალიტეტმა დაიწყოს ჰემოდიალიზის ცენტრის გახსნაზე ზრუნვა, რადგანაც საკმაოდ ბევრი ბენეფიციარია, რომელთაც ესაჭიროებათ ეს მომსახურება.

დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 11 იანვარს სხდომას განსახილველად.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ 2018 წელს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდება 16 სოციალური პროგრამა.

1) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – გათვლილია 100 000 ლარი;

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 32 400 ლარი;

3) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 45 000 ლარი;

4) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 51 000 ლარი;

5) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - 5 500 ლარი;

6) ცენტრ „ივანანას“ თანადაფინანსების პროგრამა - 10 000 ლარი;

- 7) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - 39 800 ლარი;
- 8) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა - 10 000 ლარი;
- 9) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - 50 000 ლარი;
- 10) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 30 000 ლარი;
- 11) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის - 30 000 ლარი.
- 12) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა - 1 000 ლარი.
- 13) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 3 000 ლარი.
- 14) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - 52 100 ლარი.
- 15) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა - 35 000 ლარი.
- 16) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 4 900 ლარი.

დეპუტატი ამირან გიგინეიშვილი დაინტერესდა, „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამით“ მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარები სარგებლობენ და რა მაქსიმალური თანხით ფინანსდება ისინი.

სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის მიზანია: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ერთჯერადად გადაუდებელი შემთხვევისთვის კონკრეტული ბენეფიციარის დახმარება არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით სოციალური მიმართულების პროგრამებით გათვალისწინებული ფულადი დახმარებების მოსარგებლების (ბენეფიციარების) არც ერთ კატეგორიას და დახმარების მიღებაზე თხოვნით მიმართვის დროს განიცდიან მათთვის დაუძლეველ, უკიდურესად მწვავე ეკონომიკურ სივიწროვეს. მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; ამავე პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების, რომელთა ოჯახში განხორციელდა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება. ასევე სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით“.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 11 იანვარს სხდომას განსახილველად.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- ე) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;

- ვ) სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
- ზ) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- თ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ი) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- კ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ლ) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კარატე-დო საკმაოდ განვითარებული სპორტია, ბევრი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს, მაგრამ ვინაიდან არ არის ოლიმპიური სპორტი სოც-კულტურული პროგრამიდან ვერ ფინანსდება. სასურველია გავითვალისწინოთ და „წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში დავეხმაროთ მათ.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამებიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შუამდგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შემოსულ განცხადებებს განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური.

დეპუტატმა კახა ასკურავამ განაცხადა, რომ „ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამით“ გათვალისწინებულია 500 ლარი, რაც ძალიან ცოტაა. შესაძლებელია ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება. ასევე აღნიშნა, რომ „სპორტის სასახლის“ პროექტი მოიწონა საკრებულომ, მაგრამ სავარაუდოდ მისი მშენებლობა 2018 წელს არ იგეგმება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე“.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის სხდომას განსახილველად.

მომხრე - 7, ყენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღი - 1 (ამირან გიგნიეშვილმა)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა 11 პროგრამა:

- 1) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;

- 2) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- 3) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ზარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
- 4) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- 5) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;
- 6) სხვადასხვა დონის სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
- 7) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- 8) ზემოქმედითა წახალისების პროგრამა;
- 9) ტრანსპორტირებით დაზარების პროგრამა;
- 10) კულტურულ-საგანმანათლებლო და მეტეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- 11) სოც-კულტურული დონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურულ დონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ დონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს დონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს, სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამიუჯეტო სამსახური.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის სხდომას განსახილველად.

მომხრე - 7, ყენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1 (ამირან გოგნიშვილი)


5. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ელისო ჭიჭინაძემ კომისიის წევრებს გააცნო სოველ დესის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება (N523, 26.12.2017 წელი), ისინი ითხოვენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობას, რათა თანადაფინანსებით აიყვანონ მუსიკის პედაგოგი, რომელიც ადადგენს ზემოთა მუსიკალურ ეგულფს „ბასტა-ზეზუს“.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ აუცილებლად მხარს დაუჭერენ ბავშვების მუსიკალურ განათლებასა და განუყოფარებას.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა,განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



ელისო ჭიჭინაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №1 სხდომის
დასკვნა

ქ.ლანჩხუთი

08.01.2018 წ.

2018 წლის 08 იანვარს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“ ითვალისწინებს საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა დოკუმენტაციის წარდგენას. კერძოდ, ქირავნობის პროგრამით მოსარგებლე და მისი ოჯახის ყველა წევრი ფლობს თუ არა სხვა საცხოვრებელ ფართს. სასურველია ეს დოკუმენტაცია მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ერთ პირზე და განაცხადში დაფიქსირდეს ყველა ოჯახის წევრის მონაცემი.

2. „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროებათ ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ,

ფართის, სასურველია ეს დოკუმენტაცია მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ერთ პირზე და განაცხადში დადგეს სარდის ყველა ოჯახის წევრის ჩონაყემი.

2. „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროებათ ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი დირექტორების 50%, მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა. სასურველია თანადაფინანსება გაიზარდოს 1 000 ლარამდე.

3. „მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეობა ტრანსპორტირების პროგრამით“ საზღვროს სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები, სასურველია ანალოგიური პროექტი განხორციელდეს საზღვრო ბაღისთვის. ის ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან სოფლებში, საზღვრო ბაგიდან 4 კმ-ით და მეტი მანძილით არიან დაშორებული თანადაფინანსებით მოემსახუროთ ტრანსპორტი.

4. „ერთეული სოციალური (ყულადი) დახმარების პროგრამაში“ - სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება 2 000 ლარით ფინანსდება, რაც მცირე და სასურველია ეს თანხა გაიზარდოს.

5. სასურველია, მუნიციპალიტეტმა დაიწყოს ჰემოდიალიზის ცენტრის გასსწავლე ზრუნვა, რადგანაც საკმაოდ მეტი ბენეფიციარია, რომელთაც ესაჭიროებათ ეს მომსახურება.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 11 იანვარის სხდომის განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს 2018 წლის 11 იანვარის სხდომის განსახილველად.


დღის წესრიგის მესამე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 11 იანვარის სხდომის განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, გადაეცეს 2018 წლის 11 იანვარის სხდომის განსახილველად.











ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის
შოგალეობის შემსრულებელი



ელისო ჭიჭინაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
08.01.2018 წელი

სახელი, გვარი	ხელმოწერა
1. ელისო ჭიჭინაძე	
2. კარლო კვიციანიშვილი	
3. გოდერძი ქურაძე	
4. კახა თედორაძე	
5. რეზო კვაკაძე	
6. ზაალ ხანაძე	
7. ნესივ კუპრაძე	
8. ამირან ქანთარია	
9. გიორგი გვარჯალაძე	
10. რეზო კვერენჩილაძე	
11. ამირან გიგინეიშვილი	